

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამის დასახელება - თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფილოლოგიის დოქტორი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 180 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები
 - მარიამ მირესაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
 - ლუარა სორდია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები
 - მაგისტრის /ან მასთან გათანაბრებული/ დიპლომი სპეციალობით - ფილოლოგია;
 - შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - **B-2** დონე ან შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი (იხ. *სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 1*);
 - ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა (ჩატარდება გასაუბრება ფაკულტეტზე შექმნილ დარგობრივ კომისიასთან; საკითხების ნუსხა იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id);

- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები /საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება/.

7. პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ სამაგისტრო განათლება/გააჩნიათ ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ფილოლოგიაში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და ლიტერატურის თეორიაში. სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული პროფილის ფილოლოგების მომზადება, რომელთაც ექნებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად; რომლებიც შეძლებენ თავიანთი კვლევებით ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი გამოცდილების ჩართვას საერთაშორისო ფილოლოგიურ დიალოგში, ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე; საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად მიიჩნევა *თანამედროვე ქართული ლიტერატურის* სიღრმისეული და სისტემური კვლევა. ზოგადად, ეროვნული ლიტერატურის შესწავლა (ან მისი ცალკეული მონაკვეთისა, პერიოდისა) პრიორიტეტულია ნებისმიერი საუნივერსიტეტო სივრცისთვის. ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სიღრმისეულ და სისტემურ კვლევას, რომელიც ათეული წლების მანძილზე - 1921-1991წ.წ. - ცალმხრივად შეისწავლებოდა. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კვლევა, ძირითადად, მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ლიტერატურათმცოდნეობა ისევე იყო იდეოლოგიზებული, როგორც თავად საბჭოთა ლიტერატურა: სისტემატური ხასიათი ჰქონდა მხატვრულ-ესთეტიკური ფაქტებისა და მოვლენების ცალმხრივ გაშუქებას, ჭეშმარიტი ესთეტიკური ფასეულობების მიჩქმალვასა და საექვო ღირებულებების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდას. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა, შეიცვალა მკვლევარ-ფილოლოგთა თაობა, რომელსაც მრავალი კითხვა უჩნდება საბჭოთა პერიოდში მიმდინარე ლიტერატურულ მიმდინარეობებთან, სალიტერატურო პროცესებთან, ლიტერატურის ძეგლებთან, მათი ინტერპრეტაციის პრობლემებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხის პოვნა შეუძლებელია საბჭოთა პერიოდში შექმნილ ლიტმცოდნეობით ნაშრომებში, რომელთა მრავალი ნიმუში დღეს უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მოიხსნა სახელმწიფოს კონტროლი ლიტერატურასა და მეცნიერებაზე; დაიწყო ახალი, პოსტსაბჭოური ეპოქის ქართული ლიტერატურის ფორმირება, რომელიც საკმაოდ რთული და მრავალპლანიანი პროცესებით ხასიათდება: ლიტერატურის «ვესტერნიზება», მასკულტურის განვითარება, ლიტერატურის კომერციალიზება, ენერგიული შემოქმედებითი ძიებები და სხვ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ლიტმცოდნეობის წინაშე აქტიურად დადგა როგორც XXI საუკუნის, ასევე XX საუკუნის სალიტერატურო პროცესების (მათ შორის, ქართული მოდერნიზმის, სოცრეალიზმის, პოსტმოდერნიზმის...) თეორიისა და პრაქტიკის შესახებ არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ობიექტურად გადაფასების აუცილებლობა. პროგრამა ითვალისწინებს *თანამედროვე ქართული*

ლიტერატურის ფენომენის შესწავლას მეცნიერების განვითარების თანამედროვე პოზიციებიდან; ქართულ სალიტერატურო სივრცეში მიმდინარე პროცესების შესწავლას ევროპულ სალიტერატურო პროცესებთან მიმართებით.

რაც შეეხება **ლიტერატურის თეორიას**, იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედარგია და ეროვნულ ლიტერატურასთან/ლიტერატურის ისტორიასთან ერთად ისწავლება ევროპისა და აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში; ზოგ უნივერსიტეტში ცალკეულ დისციპლინებად, როგორც: პოეტიკა, დრამის ისტორია, ჟანრის ისტორია, ლიტერატურული მიმდინარეობანი და სხვ., ზოგში – ერთ დისციპლინად, როგორც ლიტერატურის თეორია. აღნიშნული ქვედარგის მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ეტაპზე ფილოლოგიური განათლება კონკრეტული ქვეყნების ლიტერატურის ისტორიის/ან მისი ცალკეული ეტაპის ცოდნასთან ერთად (ჩვენს შემთხვევაში - XX საუკუნის ქართული ლიტერატურა) მოითხოვს ლიტერატურის თეორიის ძირითადი პრობლემების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც საშუალებას იძლევა ლიტერატურის კანონზომიერებათა, ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნების და არა მხოლოდ ლიტერატურის ეპოქისეულ-ეროვნული, ინდივიდუალურ-სუბიექტური გამოვლენის წვდომისა. წინამდებარე სადოქტორო პროგრამა ზემოაღნიშნული პრობლემების განხილვას (მათ შორის, ქართულ სალიტერატურო სივრცეში არსებული ლიტერატურული მიმდინარეობებისა) ითვალისწინებს სისტემური სახით, ლიტერატურის განვითარების ძირითადი სტადიების, მეთოდოლოგიური კონცეფციისა და შესადარებელი მასალის ფართო სპექტრის ანალიზის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს:

- დოქტორანტი სიღრმისეულად დაეუფლოს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის ქვედარგებში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს, კონცეფციებს;
- დოქტორანტმა შეიძინოს ლიტერატურათმცოდნეობის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც შესაძლებლობას მისცემს, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი, შეიმუშავოს ის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- დოქტორანტმა მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის მიმართულ მესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში;
- დოქტორანტმა შექმნას მეცნიერული სიახლის შემცველი მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება შესასწავლი პრობლემის კვლევაში.

8. სწავლის შედეგი

სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება თანამედროვე მკვლევარ-ფილოლოგისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - ფილოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს; იცის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის ძირითადი კანონზომიერებები; აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი; აცნობიერებს ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის ადგილს ჰუმანიტარული მეცნიერებების რიგში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია ქართულ ლიტერატურასა და ლიტერატურის თეორიაში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განხილვა; შეუძლია სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების/ პროექტების შედგენა და სხვ.
- **დასკვნის უნარი** - ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება; შეუძლია დაინახოს მთელის ნაწილები, მათი ურთიერთკავშირები და ერთიანობა;
- **კომუნიკაციის უნარი** - ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენაზე; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის და ამომწურავი პასუხის გაცემის უნარი; შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და უცხოურ ენებზე; შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა; შეუძლია ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მიღება; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით შეუძლია საკომუნიკაციო სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება.
- **სწავლის უნარი** - ფილოლოგიის დოქტორს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს შეისწავლოს და შეიმეცნოს ახალი იდეები, მზად იყოს ახალი ცოდნის არა მარტო შესაქმნელად, არამედ სხვის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის მისაღებადაც. შეუძლია წარმატებით აითვისოს კვლევის უახლეს მეთოდები; შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის პროცესი; აქვს კრეატიული აზროვნება და შეუძლია ახალი იდეების გენერირება; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია ახალ ვითარებასთან ადაპტირება.
- **ღირებულებები** - დოქტორანტს შეუძლია პროფესიული ღირებულებების დაცვა; აქვს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კოლეგებთან ურთიერთობისას; მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ობიექტები; პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს; ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია არა მარტო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება, არამედ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაც.

9. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ამ შინაარსისა და პროფილის სადოქტორო პროგრამის შეთავაზება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხრიდან სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების სფეროში (ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალიზაციით) გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი; კერძოდ, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში 1998 წლიდან ფუნქციონირებდა ასპირანტურა, რომლის კურსდამთავრებულებმა სხვადასხვა დროს წარმატებით დაიცვეს სადისერტაციო ნაშრომები ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. წინამდებარე სადოქტორო პროგრამაში, ძირითადად, მონაწილეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა არქივებისა და წიგნთსაცავების ბაზაზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5-7 დოქტორანტამდე მიღება.

10. კვლევითი კომპონენტი

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. *(დაწვრილებით იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; www.sou.edu.ge)*

სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკა, რომლის ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა:

- XX საუკუნის ქართული პოეზიის პრობლემები;
- XX საუკუნის ქართული ბელეტრისტიკის (რომანი, ნოველა, მოთხრობა, მემუარული ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა...) ტენდენციები;
- “შიფრით ნაწერი” მხატვრული ლიტერატურა საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერლობაში;
- მოდერნისტული ტენდენციები მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში;
- პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ მწერლობაში;
- XX საუკუნის ქართული ოპოზიციური პოეზია;
- XX საუკუნის ქართული მწერლების (...) შემოქმედების პრობლემატიკა და მხატვრულ-სტილური თავისებურებანი;
- ვერლიბრი და ვერბლანი XXს-ის ქართულ პოეზიაში;
- ლექსის სემიოტიკური ანალიზის პრობლემები;

- მითოლოგიური კრიტიკა და თანამედროვე რომანისტიკის ტენდენციები;
- ნარატივის პრობლემები თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში;
- პოსტკოლონიალური ლიტერატურის პრობლემები;
- სამყაროს სუბიექტივიზაციის პრობლემები თანამედროვე ტექსტებში;
- ქრონოტოპის ამბივალენტობის პრობლემა XXს-ის ლიტერატურაში;
- ლიტერატურული ალუზიების პრობლემა XXს-ის რომანში;
- მხატვრული ფორმისა და მხატვრული შინაარსის სახეების (ჩანაფიქრი, იდეა, მოტივი, კონფლიქტი, თემა, პრობლემა, დეტალი....) კონცეპტუალურ-კომპოზიციური ფუნქციები ტექსტში;
- ლიტერატურული სუბიექტის (ხასიათი, პერსონაჟი, გმირი, ტიპი) კონცეპტუალურ-კომპოზიციური ფუნქციები ტექსტში
- ტოტალიტარიზმის ეპოქის ნარატივები და სხვა.

11. პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია *სასწავლო* და *კვლევით* კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების *პირველ* და *მეორე* სემესტრებზე (დაწვრილებით *სასწავლო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 2*); შესაბამისად, აღნიშნულ სემესტრებში დოქტორანტი აითვისებს **21 ECTS საუნივერსიტეტო სავალდებულო კრედიტს** (სწავლების თანამედროვე მეთოდები, დოქტორანტის სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით) და **39 ECTS დარგობრივ კრედიტს**. დარგობრივი კრედიტების ასათვისებლად დოქტორანტებს ვთავაზობთ შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: *მხატვრული დისკურსის თეორია და თეორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები (სავალდებულო), ისტორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები (სავალდებულო), ლიტერატურული კომპარატივისტიკა (სავალდებულო), XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები (სავალდებულო), ნარატივის პრობლემა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესები (სავალდებულო), მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები XX საუკუნის ქართულ მწერლობაში (არჩევითი), ქართული ლიტერატურის პარადიგმები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში (არჩევითი), ინტერტექსტუალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურატმცოდნეობაში (არჩევითი), მხატვრული პირობითობა ნარატიულ ტექსტში (არჩევითი)*. სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტი მიმართულია, რათა დოქტორანტმა, თავისი ინტერესებიდან და საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს დისციპლინები, რომლებიც უზრუნველყოფენ *თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის* საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს; კერძოდ:

- მიმართავენ დოქტორანტის ინტერესს თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების (ნარატოლოგია, ლიტერატურული სემიოტიკა, პოსტსტრუქტურალიზმი, ლიტერატურული ჰერმენევტიკა და სხვ.) ასათვისებლად;
- გააზრებინებენ დოქტორანტს მხატვრულ ტექსტს სხვადასხვა კრიტიკული მეთოდის (კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ინტერპრეტაციული...) საშუალებით;
- შეასწავლიან დოქტორანტს თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ პრობლემებს ინტერდისციპლინარულ კონტექსტში (ყანრული სხვადასხვაობების, ესთეტიკური ხედვის, პრობლემების დონეზე სხვა ლიტერატურებთან მიმართებით);
- სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას დააფიქსირებინებს დოქტორანტს საკუთარ სამეცნიერო ინტერესს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის აქტუალურ პრობლემებთან მიმართებით.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (დაწვრილებით სამეცნიერო კომპონენტების განმარტება იხ. სსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 3); მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც, ძირითადად, გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის 30 ECTS კრედიტი გადანაწილდება ორი კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციაზე; 90 ECTS კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობაზე, საბოლოოდ გაფორმებასა და პრეზენტაციაზე. ფაქტობრივად, სწავლების პირველ წელს დოქტორანტს მიეცემა საშუალება სასწავლო კურსების მეშვეობით გაეცნოს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს; გაიღრმავოს დარგობრივი ცოდნა მისთვის საინტერესო რაკურსით; ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეარჩიოს და შეადგინოს **სადოქტორო თემის გეგმა** და დაიწყოს ბიბლიოგრაფიის დამუშავება; ხოლო სწავლების მეორე წლიდან, ოთხი სემესტრის მანძილზე, დოქტორანტი მაქსიმალურად მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე, აღნიშნულ პერიოდში

- დოქტორანტი აფართოებს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ცოდნის არეალს; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზებას და მეცნიერულ დამუშავებას; სრულყოფს კვლევის მეთოდოლოგიას;
- ეტაპობრივად ამუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ თავებს და კოლოქვიუმებზე (მე-4 და მე-5 სემესტრში) ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტების წინაშე დისკუსიისა და მსჯელობის ფორმატში წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთი კონკრეტული ეპიზოდის/მსხვილი პრობლემის საჯარო პრეზენტაციას;
- დოქტორანტი ავითარებს და სრულყოფს პრეზენტაციის უნარს, სამეცნიერო ზეპირი პაექრობის ტექნიკას, დისკუსიის ხელოვნებას;
- დოქტორანტი ბოლო (მე-6) სემესტრში საბოლოოდ გააფორმებს სადისერტაციო ნაშრომს და წარმოადგენს მას ჯერ შუალედურ და შემდგომ დასკვნით საჯარო დაცვაზე (დაწვრილებით იხ. დანართი 1; სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა);
- სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად დოქტორანტი ამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს (არანაკლებ სამისა) რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო ნაშრომში მოხდება დოქტორანტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი უნარების კონცენტრირება და გამოვლენა.

ამგვარად, დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი	
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი													
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები (სავალდებულო)	<i>EDUC D 301</i>	6	35	115	6							გ. ჯინჯიხაძე განათლების მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი ლ. რეხვიაშვილი განათლების დოქტორი
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით (სავალდებულო)	<i>ACAD D 301</i>	6	35	115	6							მ. ტაბიძე ფილ. მეცნ. დოქტორი, ანდრია შირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი
3.	პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო)	<i>PHIL D 321</i>	3	20	55		3						
4.	სემინარი 1 (სავალდებულო)	<i>PHIL D 322</i>	3	20	55		3						
5.	სემინარი 2 (სავალდებულო)	<i>PHIL D 323</i>	3	20	55			3					
სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი													
1.	მხატვრული დისკურსის თეორია და თეორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები	<i>PHIL D 324</i>	6	35	115	6							მ. მირესაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
2.	ისტორიული პოეტიკის აქტუალური პრობლემები	<i>PHIL D 325</i>	6	35	115		6						მ. მირესაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
3.	ლიტერატურული კომპარატივისტიკა	<i>PHIL D 326</i>	6	35	115	6							ნ. გაფრინდაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ სრული პროფესორი

არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსები - 21 კრედიტი					6	15						
4.	მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემები	<i>PHIL D 327</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							ლ. სორდია ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
5.	ნარატივის პრობლემა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესები	<i>PHIL D 328</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							ო. პეტრიაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
6.	მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები XX ს. ქართულ მწერლობაში	<i>PHIL D 329</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							ნ. კუცია ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი
7.	ქართული ლიტერატურის პარადიგმები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში	<i>PHIL D 330</i>	3	<i>20</i>	<i>55</i>							ნ. ვახანია ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფესორი
8.	ინტერტექსტუალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურატმცოდნეობაში	<i>PHIL D 331</i>	3	<i>20</i>	<i>55</i>							ნ. გაფრინდაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
9.	მხატვრული პირობითობა ნარატიულ ტექსტში	<i>PHIL D 332</i>	6	<i>35</i>	<i>115</i>							ო. პეტრიაშვილი ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი
კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი												
1.	კოლოქვიუმი 1	<i>PHIL D 333</i>	15							15		
2.	კოლოქვიუმი 2	<i>PHIL D 334</i>	15							15		
3.	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	<i>PHIL D 335</i>	90				3	27	15	15	30	
სულ - 180 კრედიტი						30	30	30	30	30	30	